



ტექნიკური მონაცემები

BETOCRETE® -CP-350-CI

არტ.-No.. 2 06445

ბეტონის კრისტალური დანამატი კოროზიის ინჰიბიტორებით

BETOCRETE-CP-350-CI წარმოადგენს ფხვნილის ბაზაზე დამზადებულ დანამატს წყალგამძლე ბეტონის შესაქმნელად, 2 1-ში ახალი ტექნოლოგიით. კაპილარებში წარმოიქმნება ნაწილი კრისტალები სპეციალური კატალიზატორების მიერ, რომლებიც აქტიურდება წყალთან შეხებისას, და ქმნის მდგრად და მუდმივად წყალგაუმტარ ბეტონს. ამასთან, საარმატურე ფოლადი დაცულია კოროზიისგან.

- ფხვნილის ბაზაზე დამზადებული.
- ახალი 2 1-ში ტექნოლოგია.
- კაპილარების დაკრისტალდება.
- ნაპრალების ამოვსება შესაძლებელია 0.4მმ-მდე სისქის ნაპრალებისთვის და 0.5მმ-მდე შეკვლების/კანონზომიერი ნაპრალებისთვის.
- კოროზიის ინჰიბიტორი.
- ყინვის/ ლღობის მიმართ გაუმჯობესებული მედეგობა.
- ქლორიდის შემცირებული მიგრაცია.
- იცავს არმატურას კოროზიისგან.
- ტექ.მომსახურების და რემონტის ხარჯების მინიმიზაცია.
- ზოგავს დროს.

გამოყენების არეალი:

BETOCRETE-CP-350-CI შეიძლება, გამოყენებული იქნას ყველა ბეტონისთვის, სადაც აუცილებელია წყლის შეღწევისგან მუდმივად დაცვა.

მაგალითისთვის: შხეფსაცივრები ელექტროსადგურებში, ავზები და კონტეინერები, წყლის დაბალი რადიოაქტიურობის შესანარჩუნებელი რეზერვუარები, საცურაო აუზები, საპარკინგე გარეუბნი, საპარკინგე ტერიტორიის დონეები, საძირკვლები, სანდვიჩების (შუაშრებების) მოსამზადებელი დანადგარები, წყალგამძლე ბეტონი, საკანალიზაციო არხების/ სათვალღიერებელი ჭის მისასვლელი წერტილები, გვირაბები, ბეტონის მილები და ყველგან, სადაც წყალგამძლეობა მოითხოვება.

ტექნიკური მონაცემები:

ფერი:	ნაცრისფერი
კონსისტენცია:	ფხვნილი
მოცულობითი წონა:	1.12 გ/სმ ³
ტემპ მოხმარებისას:	≥ +5 °C
შენახვა:	შშრაღად, 12თვე თავდაპირველ გაუხსნელ კონტეინერში. გამოიყენეთ გახსნილი კონტეინერები დაუყოვნებლივ.
შეფუთვა:	20 კგ ფოლგის პაკეტი

ბეტონთან დაკავშირებული მოთხოვნები:

ცემენტის მინიმალური შემცველობა:

CEM I	270 კგ/მ ³
CEM II	290 კგ/მ ³
CEM III /A	380 კგ/მ ³

პუცოლანური ცემენტი, რომელშიც პუცოლანის შემადგენლობა >20%:

გრანულირებული წიდა:	მაქს. 100 კგ/მ ³
ნაცრის მტვერი:	მაქს. 80 კგ/მ ³

პროდუქტის მომზადება:

დოზირება:

დოზირების საჭირო მაჩვენებელია 0.75–1.25%, ცემენტის (CEM) წონის მიხედვით, და დამოკიდებულია, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, ბეტონის ფორმულაზე და ცემენტის რეაქტიულობაზე.

დოზირების დადგენა ხდება შესაბამისობის ცდებით.

დოზირების ქვემოთ მოცემულმა მაჩვენებლებმა გაუძლო დროის გამოცდას:

	წ/ც შემადგენლობა
< 0.4	0.75% CEM-ის ბაზაზე
> 0.4–0.5	0.80% CEM-ის ბაზაზე
> 0.5–0.55	0.95% CEM-ის ბაზაზე

ნუ ასცდებით, CEM-ის წონიდან გამოდინარე, დოზირების მაქსიმალური დონეს - 1.25%-ს.

დოზირება ბეტონის დანადგარებში:

BETOCRETE-CP-350-CI-ის დოზირება უნდა მოხდეს აგრეგატში და აირიოს მინიმუმ 30 წამის განმავლობაში წყლისა და ცემენტის დამატებამდე. შემდგომ, ურით მინიმუმ 45 წამის განმავლობაში, სანამ მზად არ იქნება მოხმარებისთვის.

BETOCRETE®-CP-350-CI

დოზირება ბეტონშიდებში:

BETOCRETE-CP-350-CI-ის დამატება ადგილზე (ბეტონშიდში) ხორციელდება არა ფხვნილის, არამედ წყლის ძლიერი სუსპენზიის სახით. BETOCRETE-CP-350-CI-ის საჭირო რაოდენობა წინასწარ ერევა წყალს 1:1 პროპორციით (5კგ BETOCRETE-CP-350-CI და 5კგ წყალი), სათანადო რეზერვუარისა და ამრევის გამოყენებით, და შემდეგ მთლიანად იცლება ბეტონშიდის შემრევის დოლურაზე. მეორედ არევის დრო უნდა იყოს 1წთ/დოლურის ტევადობის 1 მ³ მაგრამ არანაკლებ 5 წუთი. ყურადღება მიაქციეთ, რომ მომზადებული სუსპენზიიდან დამატებითმა წყალმა არ გამოიწვიოს საჭირო წყლის/ცემენტის განსაზღვრული ოდენობის გაზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბეტონის ნარევის რეცეპტურაში გათვალისწინებული უნდა იქნას წყალი მომზადებისას და სუსპენზიის დამატებამდე.

რეკომენდაცია:

- შემაღენლობის მიხედვით, BETOCRETE-CP-350-CI-ით მოდიფიცირებულ (სახეცვლილ) ბეტონს შეუძლია, წარმოქმნას კრისტალები ბეტონის ზედაპირზე.
- ჩაატარეთ წინასწარი ცდები არსებული სტანდარტების შესაბამისად, BETOCRETE-CP-350-CI-ის ან სხვა ტიპის დანამატების გამოყენებამდე.
- მურა ქვანახშირის ნაცრის მტვერი გამოიყენება მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით.
- აკრძალულია CEM III /B&C ცემენტების გამოყენება.
 - ნაპრალების სიგანესთან დაკავშირებული წინასწარ განსაზღვრული შეზღუდვები, რომლებიც მოცემულია დამპროექტებლის/ ინჟინრის/ მშენებელ-ინჟინრის მიერ, დაცული უნდა იქნას ყველა სიტუაციაში. განსხვავებული ინტერპრეტაციები დამოწმებული უნდა იყოს პროექტირების სისწორის სათანადო შემოწმებით და პროექტირების მოთხოვნებთან შესაბამისობით.
- ბეტონი BETOCRETE-CP-350-CI-ით უნდა მომზადდეს, ჩაისხას და შეიკრას მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.
- იშვიათ შემთხვევებში, BETOCRETE-CP-350-CI-მ შესაძლოა, ზემოქმედება მოახდინოს ბეტონის თავდაპირველ შეკვრაზე. როგორც სისტემურად თავსებადი პროდუქტი, ბეტონის რეგულირებისთვის ხელმისაწვდომია (გამოიყენება) RUXOLITH-T5 (VZ).

გთხოვთ, დაიცვათ ევროკავშირის უსაფრთხოების მოქმედი ნორმები!

წინამდებარე ტექნიკური მონაცემები ნათარგმნია გერმანულიდან და მასში გათვალისწინებული არ არის ადგილობრივი სამშენებლო ნორმები ან სამართლებრივი მოთხოვნები. ის გამოყენებული უნდა იქნას როგორც პროდუქტის შესახებ ზოგადი ინფორმაცია. სავალდებულო ხასიათს ატარებს მხოლოდ გერმანულენოვანი ტექნიკური მონაცემები ან ჩვენი კომპანიის საზღვარგარეთ არსებული ფილიალის უახლესი ტექნიკური მონაცემები მათი სავაჭრო ტერიტორიის შიგნით.